

დავით ბაღვაშიანი ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა



დავით ბაღვაშიანი ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა. ტომაშ პეტრშიჩეკმა ქართველ კოლეგასთან ერთად ხელი მოაწერა “საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დანაშაუდთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ” შეთანხმებას.

ასევე, ორი ქვეყნის მთავრობებს შორის გაფორმდა ოქმი “საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე”.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მხარეებმა მედიისთვის განცხადებები გააკეთეს და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

„ვისაუბრეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე ჰუმანიტარულ სიტუაციაზე და ამის მიუღებლობაზე, რომ ამას ჩვენ აუცილებლად ერთობლივი ძალისხმევით უნდა ვებრძოდეთ და განსაკუთრებული აქცენტები საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გავაკეთოთ. ყველა საერთაშორისო ფორუმზე აქტიურად იყოს წამოწეული ადამიანის უფლებების დარღვევის თემები, განსაკუთრებით ეთნიკურ ქართველებთან მიმართებაში. საუბარი იყო ოთხობოროს-ტატუნაშვილის სიაზე.“

ჩვენ ევროკავშირის ძალიან სერიოზული მხარდაჭერა გვაქვს, რაც

ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში გამოიხატა. ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ხვარ საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია იწყება. ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტს დონარდ ტუსკს ვმასპინძლობთ. ასევე სტუმრად გვეყოლება ევროკავშირის და პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. ჩვენ ამ კონფერენციას მაქსიმალურად გამოვიყენებთ, რათა კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ის მნიშვნელოვანი როლი და წვლილი, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის განვითარების პროცესში მიუძღვის. ჩვენ მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგები გვაქვს“, – განაცხადა დავით ბარკარიანმა.

ტომაშ პეტრშიჩეკის განცხადებით, ჩეხეთის რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს სრულად უჭერს მხარს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ჩეხეთი საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებით არის დაინტერესებული, როგორც ვაჭრობის ასევე საინვესტიციო სფეროში.

„ორმხრივი ვაჭრობის განვითარებისთვის და ინვესტიციების მოცულობის გაზრდისთვის ფართო პოტენციალი არსებობს. მოხარული ვარ, რომ საქართველოში დაახლოებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 5% ჩეხეთიდან შემოდის. ჩეხეთი მზად არის, საქართველოს დაეხმაროს საექსპერტო გამოცდილებით, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ჩეხეთი ცდილობს, საქართველოს დაეხმაროს იმ პროგრესში, რომელსაც ქვეყანა მოდერნიზაციაში განიცდის. ჩეხეთი საქართველოს მიმართ თავისი მხარდაჭერის ძარისხმევის ერთგული რჩება, რათა ქვეყანაში ევროატრანტიკური და ევროპული მიმართულებით წინ იმოძრაოს. ჩეხეთი მხარს უჭერს დემოკრატიულ საქართველოს“, – განაცხადა ტომაშ პეტრშიჩეკმა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში უმაღლესი დონის შეხვედრებს გამართავს, შეხვედება საქართველოს პრეზიდენტს და პრემიერ–მინისტრსაც. ტომაშ პეტრშიჩეკი ასევე საოკუპაციო ხაზთან, სოფელ ხურვარეთსაც მოინახულებს. ვიზიტის ფარგლებში ჩეხი დიპლომატი ასევე მონაწილეობას მიიღებს

11-12 ივლისს, ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაში – “ღირსეული პარტნიორობის 10 წელი – განვდიდი გზა და პერსპექტივები”.